# კონსტრუქციული დასკვნა

*საპროექტო ობიექტი:*

**ქ. თბილისი, ვასო გოძიაშვილის ქ.№44, ს/კ 01.10.10.019.003, არსებული მრავალფუნქციური შენობის რეკონსტრუქცია**

*საგანი:*

**მომიჯნავე შენობა-ნაგებობების უსაფრთხოება მშენებლობის პროცესში**

საპროექტო ობიექტს საკუთარ ნაკვეთზე სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ემიჯნება ერთსართულიანი სასაწყობე შენობა (№2/1). სარეკონსტრუქციო შენობიდან მისი დაშორება შეადგენს 17 მეტრს. მომიჯნავე შენობის გაბარიტებია 25 (4 მალი) - 13 (2 მალი) მეტრზე, სიმაღლით 6 მეტრი. მზიდი სისტემა კონსტრუქციულად წარმოდგენილია ანაკრები რკინაბეტონის ელემენტებით: სვეტები, ტესებრი კოჭები და წიბოვანი ფილები. შენობა წერტილოვანი საძირკვლებით დაფუძნებულია კლდოვან ქანებზე. ვიზუალური ანალიზით შენობა დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია – მასზე არ ფიქსირდება კონსტრუქციულად შეუსაბამო ხარვეზები.

აღნიშნულ მომიჯნავე შენობასთან მდებარე სარეკონსტრუქციო ობიექტზე არ ხდება დაშენება, მიწის სამუშაოები და სხვა სახის გავლენის მქონე მოქმედება.

*დასკვნა:*

**ახალი მშენებლობის წარმოება არ მოახდენს უარყოფით გავლენას მომიჯნავე შენობა-ნაგებობების მზიდი კონსტრუქციების მდგრადობაზე და მზიდუნარიანობაზე.**

ექსპერტი, ინჟინერ-კონსტრუქტორი,
შპს "კონსტუდიო"-ს დირექტორი, ტმდ

ედიშერ წოწერია

თბილისი 17-02-2021